

კონსტანტინე ბრეგაძე
(საქართველო)

კონცეპტების „თავისუფალი და „თავისუფლება“
(“Freiheit”) გაგება ფაუსტის უკანასკნელ, სიკვდილისწინა
მონოლოგში და მისი ზღვისპირა კოლონია, როგორც
„ტოტალიტარიზმის“ ერთგვარი გოეთესეული ვიზიონი¹

1. ტაეპი „11580“

კონცეპტი „თავისუფალი“ (“frei”) გვხვდება ტრაგედიის მეორე ნაწილის მეხუთე მოქმედებაში, კერძოდ, ფაუსტის უკანასკნელ, სიკვდილისწინა მონოლოგში, 11580-ე ტაეპში:

ფაუსტი:

და, დაე ვიდეგე თავისუფალ ხალხთან თავისუფალ მიწაზე
(“Auf freiem Grund mit freiem Volke stehen”) [V. 11580] (Goethe 2001: 203).²

ამ ტაეპში გარდა კონცეპტ „თავისუფალისა“, ასევე, მნიშვნელოვანია შემდეგი კონცეპტებიც –

1. „ხალხი“ (“Volk”),
2. „მიწა“ (“Grund”) (ეს სიტყვა, ასევე ნიშნავს „წიაღაგს“, „მიწის ნიაღს“, „საძირკველს“),

ამიტომ „თავისუფალისა“ და, შესაბამისად, „თავისუფლების“ ცნების ის შინაარსი, რასაც თავად ფაუსტი მოიაზრებს ამ ცნებებში, ამ ტაეპში მოცემულ სხვა კონცეპტთა კონტექსტში და მათთან შედარებისას უნდა დადგინდეს.

2. ფაუსტი: „ბატონი“, „მბრძანებელი“ (“Herr”), პოლიტიკური ბელადი და ტექნოკრატი

ამასთან, ცხადია ისიც, რომ თუ გვინდა ზუსტად გავიგოთ, რას გულისხმობს ფაუსტი კონცეპტში „თავისუფალი“, შესაბამისად, „თავისუფლება“, რასაც ფაუსტი ბუნდოვან და გაურკვეველ მომავალში თავისი კოლონიის მოსახლეობას თუ მომავლის აბსტარქტულ კაცობრიობას ჰპირდება, თუ გვსურს ზუსტად გავიგოთ, რას გულისხმობს, მისი, ერთი შეხედვით, ეს ერთგვარი პოლიტიკური გზავნილი თუ პოლიტიკური ან-

1 წარმოდგენილი სტატია არის ერთ-ერთი თავი ჩემი მომავალი მონოგრაფიისა, რომელიც ეძღვნება გოეთეს „ფაუსტს“. (კ. ბ.)

2 აქ და ყველგან „ფაუსტის“ ციტატების პროზაული თარგმანი სტატიის ავტორს ეკუთვნის. (კ. ბ.)

დერძი (ან, საერთოდაც, საკითხავია, პოლიტიკური შინაარსი აქვს თუ არა აქ „თავისუფალის“ კონცეპტს), უნდა განვსაზღვროთ, თავად ამ მესიჯის გამხმოვანებელი ფაუსტი მოცემულ მომენტში რას წარმოადგენს. ამასთანავე, ისიც უნდა გაირკვეს, ერთი მხრივ, ვინაა ის „ხალხი“, ვისაც ფაუსტი „თავისუფალ მინაზე თავისუფლად დგომას“ ახლა, ანმყოში ჰპირდება, და მეორე მხრივ, უნდა გაირკვეს, რა „ხალხია“ ის მომავალში ვიზიონირებული მომავლის „თავისუფალი ხალხი“.

აღნიშნული კონცეპტების („თავისუფალი“, „თავისუფლება“, „ხალხი“, „მინა“) შინაარსთა ზუსტად განსაზღვრის თვალსაზრისით საყურადღებოა ფაუსტის შემდეგი სიტყვები, რომლითაც ის ზღვის სანაპიროზე პორტებში და დამბებზე მომუშავე ადამიანებს მიმართავს:

ფაუსტი:

ძალაუფლებას მოვიპოვებ და საკუთრებას! / საქმეა ყველა, დიდება – არარა (**“Herrschaft gewinn’ ich, Eigentum! / Die Tat ist alles, nichts der Ruhm”**). [...] **ნაბრძანებია**, სწრაფად, უსწრაფესად ქმნა! (**“Geboten schnell, zu schnell getan!”**) [...] რაც გავიფიქრე, მყისვე აღსრულდეს; მხოლოდ **ბატონის** სიტყვას აქვს ძალა. ჰა, დროზე, ადექით **ყმებო**, ქუდზე კაცი! (**“Des Herren Wort es gibt allein Gewicht. / Vom Lager auf ihr Knechte! Mann für Mann!”**). მალე იხილავთ ბედნიერნი ჩემს თამამ ჩანაფიქრთა ნაყოფს. დაავლეთ ხელი ხელსაწყობებს, ნიჩბებსა და ბარს, რაც გამოვკაფეთ და გავიყვანეთ, შევინარჩუნოთ ხამს. მკაცრი წყობით და სწრაფი გარჯით, დავიმსახურებთ ყოვლადმშვენიერ ჯილდოს; და რომ აღსრულდეს დიადი საქმე, კმა არს **ერთის გონება და ათასის ხელი** (**“Genügt Ein Geist für tausend Hände”**). [...] ო, რარიგ მალეღვებს ნიჩბების ზრიალი. ეს არის **მასსა**, რომელიც **მეყმო, მმორჩილებს, მეთაყვანება** (**“Es ist die Menge, die mir frönet”**) [V.10197-10198; 11382; 111501– 11510; 11539-11540] (Goethe 2001: 163, 201, 202).

ამგვარად, ფაუსტის სამფლობელოში, მის ზღვისპირა კოლონიაში დამყარებულია აშკარა ტირანული, ავტორიტარული, დიქტატორული მმართველობა („ჰერშაფთ“, „Herrschaft“) და, უფრო მეტიც, ტოტალიტარული რეჟიმის მსგავსი მმართველობა, ვინაიდან აქ მოცემული პოლიტიკური დისპოზიცია უკიდურესი იერარქიული სტრუქტურაა, სადაც სრულიად გაუქმებულია **პოლიტიკურობა** (**“das Politische”**) (ჰ. არენდტი): ერთი მხრივ, ფაუსტი, რომელიც არის „ბატონი“, „მბრძანებელი“ (**“Herr”**) და ერთპიროვნული მმართველი, ლამის პოლიტიკური ბელადი, **ფიურერი**, რომელსაც უსიტყვოდ ემორჩილებიან და ეთაყვანებიან როგორც მისი უშუალო ხელქვეითნი (იგივე, მეფისტო), ისე კოლონიის მოსახლეობა („ძალაუფლებას მოვიპოვებ და საკუთრებას“); მეორე მხრივ კი, მისი „ყმები“ (**“Knechte”**), ანუ ფაუსტის კოლონიის პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად ყოვლად უუფლებო მოსახლეობა, ფაუსტის „ტერმინოლოგიით“ „მასსა“ (**“Menge”**) – „ეს არის მასსა, რომელიც მეყმო, მმორჩილებს, მეთაყვანება“; შემდგომ: ერთი მხრივ, ფაუსტი, ვინც,

ვითარცა ელიტარული მმართველი კლასის უცვლელი ცენტრალური ფიგურა, გეგმავს სხვადასხვა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო თუ ტექნოკრატიულ პროექტებს („ერთის გონება“), ვინც ერთპიროვნულად გასცემს სახელმწიფო ბრძანებულებებს (მდრ.: „დაავლეთ ხელი ნიჩბებსა და ბარს“, „მხოლოდ ბატონის სიტყვას აქვს ძალა“, „ჰა დროზე, ადექით ყმებო!“), ხოლო თავად კი Legibus solutus-ია, ე. ი. კანონს მიღმაა, კანონებზე მაღლა დგას და მასზე კანონი არ მოქმედებს, მეორე მხრივ კი, ზღვისპირა ჯებირების მშენებლობაზე, არსებსა და პორტებში მომუშავე მონებად ქცეული და უსიტყვოდმორჩილი ლუმპენპროლეტარიატი („ნაბრძანებია სწრაფად, უსწრაფესად ქმნა“).

ამგვარად, ამ ზღვისპირა კოლონიაში დამყარებული დესპოტიისა და ტირანიის გათვალისწინებით, ფაუსტის ვიზიონებში არც თავისუფალი და სამართლებრივი სახელმწიფოს კონტურები შეიძლება ჩანდეს და მისივე დანაპირებში გახშიანებული კონცეპტები „თავისუფალი მიწა“ და „თავისუფალი ხალხი“ შეუძლებელია რომ პოლიტიკურ თავისუფლებას უკავშირდებოდეს, ვინაიდან ფაუსტს ანმყო პოლიტიკური ვითარება უკვე ათწლეულებია „ტოტალიტარიზმული“ აქვს და თავისი კოლონიის ეს პოლიტიკური დღის წესრიგი სამარადისოდ განსაზღვრული. ეს კი იმის წინაპირობაა, რომ მომავალიც ასეთივე „ტოტალიტარიზმული“ იქნება.

ფაუსტის მიერ დამყარებული ტირანული პოლიტიკური რეჟიმის თავისებურება კი ისიც არის, რომ ადამიანებზე ძალადობა და ძალმომრეობა მხოლოდ მის ზღვისპირა კოლონიის ტერიტორიაზე კი არაა გაბატონებული, არამედ კოლონიის საზღვრებსაც სცდება და გადაიზრდება გლობალურ იმპერიალიზმსა და კოლონიალიზმში – „მეფისტოფელი: შენი სასახლიდან ხელს მოავლებ მთელს სამყაროს (*“hier vom Palast dein Arm die ganze Welt umfasst“*) და გასცემ ბრძანებებს“ [V. 11226] (Goethe 2001: 193). ამით კი პროგნოზირებულია მოდერნის ეპოქის ეს ერთადერთი პოლიტიკური და ეკონომიკური კონდიცია:

მეფისტოფელი (ფაუსტს):

ორი გემით გავედით და ოცით შემოვედით პორტში. დიდი საქმენი რაც ჩავიდინეთ, აქვე ეტყობა დატვირთულ ნადავლს. ვრცელი ზღვა სულს (*“Geist“*: აქ მოდერნის ეპოქის მოძალადე სული – კ. ბ.) **ათავისუფლებს** და ამიტომაც არცა გვჭირდება ხანგრძლივი ფიქრი, მსწრაფლ, უსწრაფესად საქმეს ვაკეთებთ: ხან ვიჭერთ თევზებს, ხანაც სამს გემს ერთბაშად, მერე მეოთხეს და მეხუთესაც არ დაადგება კარგი დღენი. სხვა ნაოსნობა არცა ვიცი, თუ როგორია. ვისაც ძალა აქვს (ანუ: პოლიტიკური და სამხედრო ძლევამოსილება, ძალმომრეობა, მოძალადეობა, ძალადობა – კ. ბ.), უფლებაცა და სამართალიც მისი ხვედრია (*“Man hat Gewalt, so hat man Recht“*). საქმეა „რა“ და არა „როგორ“. ომი, ვაჭრობა, მეკობრეობა სამპირ არიან, განუყოფელნი („Krieg, Handel und Piraterie, / Dreieinig sind sie, nicht zu trennen“) [...] მაშ, რად აყოვნებ, ხელს რაღა გიშლის, ან კი შეუდექ **კოლონიზე-**

ბას (“Was willst du dich denn hier genießen, / Musst du nicht längst kolonisieren”) [V. 11173-11188; 11273-11274] (Goethe 2001: 192, 194).

ამგვარად, მეფისტოს მიერ ფაუსტისადმი წარდგენილი ანგარიშიდან ირკვევა, რომ ისევე როგორც ანმყოში, ასევე მომავალშიც, მოდერნის ეპოქაში გლობალური პოლიტიკა და ეკონომიკა ჩამოყალიბდება მხოლოდ მასშტაბური ძალადობისა და ტირანიის სფეროდ და მასში მინიმალური ადგილი გადარჩება პოლიტიკური თავისუფლების, ლიბერალიზმისა და დემოკრატიისათვის.¹

მაშინ რას უნდა ნიშნავდეს ფაუსტის კონცეპტები „თავისუფალი“, „თავისუფალი მიწა“, „თავისუფალი ხალხი“, „თავისუფლება“? ან რას გულისხმობს ფაუსტის სიკვდილისწინა “მოსეანური” ხილვები და იოანე მოციქულისეული „ესქატოლოგიური“ „წინასწარმეტყველებანი“ – „გავუხსნი სივრცეებს მრავალ მილიონთ [...] და დავუმკვიდრებ სანახებს შემოსილთ ნაყოფით, სიმწვანით. [...] აქ, ამ შუაგულში გაშენდება სამოთხის ქვეყანა“ (“*paradiesisch Land*”)” [V. 11563, 11565, 11569] (Goethe 2001: 203). ეს რომ განვსაზღვროთ, საჭიროა ცოტა უკან დავიხიოთ და გავითვალისწინოთ ტრაგედიის მეორე ნაწილის მეოთხე მოქმედების დასაწყისში მოცემული ფაუსტის ზღვის ვიზიონები.

3. ფაუსტი vs. ზღვა/ბუნება

ამ ვიზიონების მიხედვით ირკვევა, რომ ფაუსტი ემზადება დიდი ტექნოკრატული პროექტების განსახორციელებლად, რაც, ერთი მხრივ, გულისხმობს ზღვისთვის მიწის გამოტაცებას, მეორე მხრივ კი, ფაუსტის საბოლოო და ერთადერთი მიზანი ხდება არა მარტო ცოცხალი ძალის, არამედ ახალი ტექნიკის, კერძოდ, ორთქლის ძრავაზე მომუშავე მიწის მთხრელი მექანიზაციის საშუალებით ზღვის/ბუნების საბოლოო დამორჩილება (Goethe 2001: 190; Gaier 2004: 229). ეს მიზანი კი სამ სხვადასხვა ასპექტს შეიცავს – პოლიტიკურს, ანთროპოლოგიურსა და დემიურგულს: 1. ზღვის/ბუნების ტექნოკრატული დამორჩილება, ზღვის/

¹ უახლეს ისტორიას რომ გადავავლოთ თვალი, XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან მოყოლებული ვიდრე XX საუკუნის 60-იან წლებამდე ეს მეფისტოფელური კონდიცია მართლაც შენარჩუნდა, მხოლოდ 60-იანი წლების შემდგომ, პოსტმოდერნის დადგომისთანავე დაიწყო დეკოლონიზაცია (მაგ., აფრიკის კონტინენტის დეკოლონიზაცია), ასევე, დაიწყო ე. წ. მეტი დემოკრატიისა და მეტი ლიბერალიზმის ფართო პროცესი, ოღონდ ეს, უპირატესად ისევე და ისევე დასავლეთის ფარგლებში მოხდა. ეს კი ის ფაუსტური თვისებაა, რაც დასავლურ კულტურას მუდმივად გააჩნდა და გააჩნია: დასავლური კულტურის არსი ფაუსტივით ენტიელექიური ბუნებისაა, ის მიღწეულით არ (და)კმაყოფილდება და აღმავალი ხაზით მუდმივი თვითგანახლებისაკენ ისწრაფვის. ამიტომაც, დასავლური კულტურა, როგორც ფაუსტური კულტურა, არა დაცემულობისა და თვითგანადგურების კულტურაა, როგორც ეს ოსვალდ შპენგლერს ეგონა მიამიტურად, არამედ მუდმივი თვითგანახლებისა და წინსწარფვის (შდრ., თუნდაც, დღევანდელი სკანდინავიის ქვეყნები). სწორედ ამდენადაა დასავლური კულტურა ფაუსტური კულტურა.

კონცეპტ „თავისუფალისა“ („frei“) და „თავისუფლების“ („Freiheit“) გაგება ფაუსტის უკანასკნელ, სიკვდილისწინა მონოლოგში და მისი ზღვისპირა კოლონია, როგორც „ტოტალიტარიზმის“ ერთგვარი გოეთესული ვიზიონი

ბუნების ძალების ტექნიკური კონტროლი პირდაპირპროპორციულია ფაუსტის მომავალი პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცებისა და გაფართოების, ვნაიდან ზღვის/ბუნების დამორჩილება, კონტროლი და გიგანტური საინჟინრო მშენებლობები და სამუშაოები (პორტების აშენება, ზღვისპირა ჯებირების აგება, სანყლოსნო-სატრანსპორტო არხების გაყვანა, სადრენაჟო სამუშაოები – ზღვისაგან გამოტაცებული ნესტიანი მიწის ამოშრობა) ეფექტური პოროპაგანდისტული და იდეოლოგიური შესაძლებლობაა როგორც პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად, ისე ხალხის ცნობიერების „ზომბირებისა“ და მისი ერთპიროვნულად მართვისათვის; 2. ანთროპოლოგიურ სიბრტყეზე ზღვის დამორჩილება და ბუნების კონტროლი სიმბოლურად განასახიერებს საკუთარ ანთროპოსში მოცემული უკონტროლო ქტონური და ლიბიდოზური სანყისების დამორჩილებასა და კონტროლს, ხოლო 3. ბუნების სტიქიათა მართვა ფაუსტისათვის დემიურგულ ესენციასაც შეიცავს, ვინაიდან მას, როგორც თანამედროვე გლობალური ისტორიული პროცესის თანამონაწილეს, საკუთარი თავი ახალ შემოქმედად მოაქვს, ვისაც ახალი გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური ნესრიგი შეაქვს სამყაროში – „ჩემს გონებაში მსწრაფლ შევადგინე გეგმა გეგმაზე“ (*“Da fast ich schnell im Geiste Plan auf Plan”*) [V. 10227] (Goethe 2001: 164). ამ გეგმების შესახებ კი თავად მეფისტომაც არაფერი უწყის:

მეფისტოფელი:

გამოცნობად ღირს, მაინც რას ესწრაფვი? თამამი იყო უსათუოდ, რომ მიიღტვოდი მთვარისაკენ, მთვარის სხივების სიახლოვე გათრობდა მარად. განა შენი სწრაფვანი სულ მაქეთ არ გეზიდებოდა? („მთვარე“: ტრანსცენდენტურობის სიმბოლო, განსაკუთრებით რომანტიზმის მწერლობაში – კ. ბ.).

ფაუსტი:

არამც და არამც! ეს მიწის სფერო („Erdenkreis“) კვლავაც გვიბოძებს ასპარეზს დიად საქმეთათვის („Taten“). გასაოცარი და სანუკვარი რამ უნდა აღსრულდეს, ვგრძნობ მოზღვავებულ ძალას („Kraft“) გარჯისა და შრომისათვის („Fleiss“).

მეფისტოფელი:

მაშ, დიდების მოხვეჭა გნადია? კარგად გეტყობა, რომ ნამყოფი ხარ შენს გმირ ქალთან („Heroine“) და მისგან მოდიხარ („გმირ ქალში“ იგულისხმება ტროელი ელენე – Gaier 2004: 197. მეფისტოფელი აქ ფაუსტს დასცინის და მიანიშნებს, რომ ტროელ ელენესთან ყოფნისას ფაუსტი ახალი სექსუალური და ლიბიდოზური ენერგიებით აღივსო და მზად არის ახალი ეროტიული თავგადასავლებისათვის და მხოლოდ ასეთი თავგადასავლებისათვის. თუმცა, ფაუსტს არა ლოკალური ეროტიული, არამედ დიდი, გლობალური პოლიტიკური, ეკონომიკური და ტექნოკრატული მიზნები აქვს დასახული – „გასაოცარი და სანუკვარი რამ

უნდა აღსრულდეს, ვგრძნობ მოზღვავებულ ძალას (“Kraft”) გარჯისა და შრომისათვის (“Fleiss”). ამგვარად, თუ მეფისტო თავისი სატრფოსგან დაბრუნებული ფაუსტის მოზღვავებულ სექსუალურ ენერჯიაზე შაყირით მიაწინებს („კარგად გეტყობა, რომ ნამყოფი ხარ შენს გმირ ქალთან (“Heroine”) და მისგან მოსულხარ“), მაშინ ფაუსტს მხედველობაში აქვს საკუთარი პოლიტიკური ძალმოსილება, საკუთარი პოლიტიკური ძალა. აქვე საინტერესოა ისიც, რომ კოგნიტური თვალსაზრისით ფაუსტი უკვე წინ უსწრებს მეფისტოს: კერძოდ, მეფისტოს აღარ შეუძლია ფაუსტის აზრებისა და განცდების წინასწარ ამოცნობა და წვდომა. ამ მომენტიდან მეფისტომ აღარ იცის, რას მოიმოქმედებს ხოლმე ფაუსტი („გამოცნობად ღირს, მაინც რას ესწრაფვი?“) და იგი სრულად ექვემდებარება ფაუსტის ნებას, ნებელობას, ძალას, ძალმოსილებას (გერმ. “Kraft”, “Wille”) – „მაშ, დაე ისე იყოს, როგორც ეს შენს ნებას (“Wille”) სწაღია!“. ამგვარად, თუ აქამდე, ტრაგედიის პირველ ნაწილში, მეფისტო იყო აქციონერი და ფაუსტი რეაქციონერი, ახლა, ტრაგედიის მეორე ნაწილში, განსაკუთრებით კი მეოთხე მოქმედებიდან მოყოლებული, როლები შეიცვალა: ფაუსტია მუდამ აქციონერი, ხოლო მეფისტო რეაქციონერი – კ. ბ.).

ფასუტი:

ძალაუფლებას (“Herrschaft”) მოვიპოვებ და საკუთრებას (“Eigentum”), საქმეა (“Tat”) ყველა, დიდება (“Ruhm”) არარა! [...]

მეფისტოფელი:

მაშ, დაე ისე იყოს, როგორც ეს შენს ნებას (“Wille”) სწაღია! ოღონდ გამანდე მაგ შენს ოფოფთა მასშტაბები.

ფაუსტი:

ჩემი მზერა (აქ: წარმოსახვა – კ. ბ.) უსაზღვრო ზღვას გადასწვდენია. [...] რაც შეიძლება მაშინებდეს, მანბილებდეს და მახელებდეს, არის ამ დაუმორჩილებელ ელემენტთა უშრეტი ძალის უმისამართო და უსაზმნო დენა. მაგრამ ჩემი სული (“Geist”) აღტყინებულა, სწაღია თავისა თავის ძლევა: აი, აქ მინდა ბრძოლა (“kämpfen”), აი, ეს მინდა დავამრცხო, დავიმორჩილო (“besiegen”). [...] ჩემს გონებაში მსწრაფლ შევადგინე გეგმა გეგმაზე (“Plan auf Plan”), რომ ამ ზვიად ზღვას მინა მოვსტაცო და ნაპირებიდან უკუვაქციო, წყლის ნაკადებს საზღვრები დავუწესო და თავისივე თავში მისი ტალღები უკუვაბრუნო. ყოველივე ნაბიჯ-ნაბიჯ ავწონდავწონე, კვლა მოვიფიქრე ყოველი დეტალი. სწორედ ეს არის ჩემი ნება-სურვილი. დაე, აღსრულდეს! [V. 10177-10188; 10196-10198; 10218-10221; 10227-10233] (Goethe 2001: 163, 164).

ამ ფონზე კი საბოლოოდ ქრება ილუზია იმისა, რომ ფაუსტის ცნება „თავისუფალი“ პოლიტიკური თავისუფლების შინაარსს შეიცავდეს. აქ გოეთეს, თითქოსდა, ნაწინასწარმეტყველები აქვს მე-20 საუკუნის ტოტალიტარიზმის სიგიჟე, მანია, შიზოფრენია, იდეაფიქსი გიგანტური ტექნოკრატული პროექტებისადმი, ბუნების სრული დამორჩილებისა

კონცეპტ „თავისუფალისა“ („frei“) და „თავისუფლების“ („Freiheit“) გაგება ფაუსტის უკანასკნელ, სიკვდილისწინა მონოლოგში და მისი ზღვისპირა კოლონია, როგორც „ტოტალიტარიზმის“ ერთგვარი გოეთესული ვიზიონი

და კონტროლისადმი. ტრაგედიის მეორე ნაწილის მეხუთე მოქმედებაში ფაუსტმა, აკი, დაამყარა კიდევ „ტოტალიტარიზმი“ თავის ზღვისპირა სამფლობელოში, რასაც ტოტალიტარული სახელმწიფოს ზუსტად ის ნიშნები აქვს, რომლებიც ჰანა არენდტმა გამოკვეთა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ტოტალური ძალაუფლების ელემენტები და საწყისები“ („Elemente und Ursprünge totaler Herrschaft“) (1955): კერძოდ, ფაუსტის კოლონიაში არის ა) საკონცენტრაციო ბანაკების ტიპის დასახლებები, რაზეც მიაწინებს ფაუსტის მიერ ხმარებული სიტყვა „ლაგერ“ („Lager“) (Goethe 2001: 201), რომელიც ორი სემის შემცველია: 1. „ადგილი“, 2. „ბანაკი“; შემდეგ: ბ) ფაუსტის კოლონიაში სამოქალაქო უფლებებით აღჭურვილი საზოგადოების ნაცვლად არის სრულიად უუფლებო და ყოველადმორჩილი მასა („Menge“), „ყმები“, („Knechte“) (Goethe 2001: 190, 201, 202), რომელიც ფაუსტის კოლონიის მუდმივი კოლექტიურობის სულს ქმნის და რომელიც კოლონიის ფარგლებში ავითარებს არა პლურალისტურ პოლიტიკურ ცხოვრებას, არამედ მასობრივ, კოლექტივისტურ პროცესებს – მასობრივი, გიგანტური მშენებლობები (სანაპირო ჯებირების, პორტების), მასობრივი სამოქალაქო ზეიმები თუ გრანდიოზული სამხედრო აღლუმები – „და გადაიხდის მიყოლებით ჩვენი ფლოტის ზეიმს ზეიმზე“ („Und gibt der Flotte Fest nach Fest“) [V. 11215-11216] (Goethe 2001: 193) და მისთ., რაც, – ე. ი. კოლექტიურობა, მასობრიობა – ასევე ტოტალიტარული სახელმწიფოების მახასიათებელია; გ) შესაბამისად, ფაუსტის კოლონიაში გაუქმებულია „კლასობრივი საზოგადოება“ (გერმ. „Klassengesellschaft“) და მის ნაცვლად არის ტოტალიტარიზმისთვის დამახასიათებელი კოლექტიური ერთობა, დეკლასირებული აპოლიტიზებული ერთიანი მასა, „მასის საზოგადოება“, „მასობრივი საზოგადოება“ (გერმ. „Massengesellschaft“), იგივე, ფაუსტის „ყმები“ („Knechte“);¹ დ) და ბოლოს, ფაუსტის კოლონიაში „პოლიტიკურობა“ (გერმ. „das Politische“) (ჰ. არენდტი) სრულიად მოშლილი და გაუქმებულია, რაც, ერთი მხრივ, გულისხმობს სახელმწიფო ინსტიტუციების სრულ უფუნქციობას და მათ ფასადურობას, მეორე მხრივ, პოლიტიკური პლურალიზმისა და პოლიტიკური ცხოვრების მრავალფეროვნების არარსებობას (ბრეგაძე 2019: 15-16, 21). ამას დავუმატოთ ფაუსტის კოლონიის მთელს პერიმეტრზე აღმართული ა) საზედამხედველო, სათვალთვლო კოშკები („Luginsland“) (Goethe 2001: 197), ბ) პროპაგანდის საშუალებები – ამ კოშკებზე დამონტაჟებულია ერთგვარი ხმის გამაძლიერებლები, „სალაპარაკო მილი“ („Sprachrohr“) (Goethe 2001:

1 შდრ.: „ტოტალური ძალაუფლება“ („totale Herrschaft“) შეუძლებელია ჩამოყალიბდეს (პოლიტიკური – კ. ბ.) მასობრივი მოძრაობისა და მის მიერ ტერორიზებული მასის მხარდაჭერის გარეშე. [...] ტოტალიტარული მოძრაობანიც („totalitäre Bewegungen“) სწორედ იქაა შესაძლებელი, სადაც მასები არსებობენ“ (თარგმანი ჩემია – კ. ბ.) (Arendt 1991: 496, 502). ჰანა არენდტის ტოტალიტარიზმის თეორიასა და ტოტალიტარიზმის ცნების არენდტისეულ დეფინიციაზე დაწვრილებით იხ. ჩემი სტატია „ჰანა არენდტის ტოტალიტარიზმის თეორია (ძირითადი ასპექტები)“ (ბრეგაძე 2019: 12-29).

191), საიდანაც ზედამხედველი მეკოშკურე (Der Türmer) კოლონიის მოსახლეობას აუწყებს ფაუსტის რეჟიმის მიღწევებს,¹ გ) რელიგიის რანგში აყვანილი და იდეოლოგიზებული მასობრივი, კოლექტიური შრომის კულტი – „მუშა მინყივ მუშაკობდეს, სამუშაოს აბევრებდეს“ (*„Arbeiter schaffe Meng auf Menge“*) [V. 11552] (Goethe 2001: 203), „მუდმივი საფრთხით გარემოცულმა ბეჯითად, გამრჯედ განვლოს თვისი ცხოვრება ბავშვმა, მოხუცმა და ახალგაზრდამ“ (*„Und so verbringt, umrungen von Gefahr, / Hier Kindheit, Mann und Greis sein tüchtig Jahr“*) [V. 11577-11578] (Goethe 2001: 203), დ) ფაუსტის ბელადობა, ფიურერობა (ფაუსტი – „ბატონი“/“Herr”, „პატრონი“/“Patron”) (Goethe 2001: 192, 201) და ფაუსტის ზღვისპირა კოლონიის სახით, საბოლოოდ, ვიღებთ კლასიკური ტოტალიტარული სახელმწიფოს ერთგვარ გოეთესეულ ვიზიონს.

ამგვარად, ფაუსტისეული ზღვის ვიზიონებისა და საკუთარსავე სამფლობელოში წარმართული გიგანტური მშენებლობების კონტექსტში (სანაპირო ჯებირების, პორტების, არხების მშენებლობები, დაჭაობებული ვრცელი ადგილების ამოშრობა) საბოლოოდ დგინდება, რომ ფაუსტთან კონცეპტები „თავისუფალი“ (**“frei”**), „თავისუფლება“ (**“Freiheit”**) გულისხმობს ბუნებაზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებას, ბუნების ძალების (ზღვის სტიქიის) დამორჩილებასა და მათ კონტროლს, რაც სწორედ ბუნებისთვის (ზღვისთვის) დაწესებული ტოტალური ტექნოკრატიზმით ხორციელდება – „მინა გამყარდა, ზღვის ტალღებს დაუდო ზღვარი, ზღვას შემოევლო ძლიერი გარსი (ანუ, დამბები – კ. ბ.)“ (*„Die Erde mit sich selbst versöhnet, / Den Wellen ihre Grenze setzt, / Das Meer mit strengem Band umzieht“*) [V. 11541-11543] (Goethe 2001: 202), რასაც შემდგომ დასტურყოფს ფაუსტის ან უკვე ადმირალი და პირველი მოადგილე მეფისტოფელი:

1 შდრ.: „მეკოშკურე (იძახის სალაპარაკო მილში): მზე ეშვება, მოგ ზაურობიდან დაბრუნებული უკანასკნელი გემები თამამად შემოდინან ნავსადგურში. აი, ერთი დიდი გემიც შემოცურდა არხში. მისი ჭრელი ვიმპლები ლალად ფრიალებენ, მისი აშოლტილი ანძები მყარად დგანან და მზად არიან ახალ ნაოსნობათათვის. შენში ბოცმანი თავის თავს ხოტბას ასხამს გატაცებით (**“in dir preist sich”**), შენ სალამს გიძღვნის შენი ბედი და გიმზადებს უმაღლეს წუთებს (ეს ბოლო ორი წინადადება „შენში ხოტბას ასხამს...“, „შენ სალამს გიძღვნის...“ ფაუსტს მიემართება და არა სატრანსპორტო არხში შემოსულ გემს, რითაც მინიშნებულია ფაუსტის, ვითარცა ერთპიროვნული მმართველის, პოლიტიკური ბელადის, უმაღლესი პოლიტიკური სტატუსი: სწორედ ფაუსტია ის, ვისაც ყველა შენატრის, ყველა ხოტბას ასხამს და, რაც მთავარია, ფაუსტია ის, ვისთანაც მისი მორჩილი მასა თავის თავს აიგივებს – „შენში თავის თავს ხოტბას ასხამს“. ამასთან, მეკოშკურის ეს ბოლო ორი წინადადება იკითხება როგორც პაროდია საბას დედოფლის სახობო სიტყვებზე, თქმულზე სოლომონ მეფისადმი: „კურთხეულ არიან შენი ყმები და შენი ხალხი, ვინც მარად შენს წინაშე დგას და შენს სიბრძნეს ისმენს“ (მეფეთა I, 10.8), Gaier: 2004: 232. – კ. ბ.). [...] რა ლალად და მძლავრად მოცურავს ეს მრავალი ფერებით მორთული გემი, საამო სალამოს ქარი აქეთ მოაცურებს მას! კოშკებად აზიდულან მასზე დატვირთული ყუთები, სკივრები, ტომრები! (მდიდრული გემი, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის (ნაძარცვი sic!!!) – კ. ბ.) უხვი სიმდიდრითა და მრავალფეროვანი ნაწარმით დახუნძლული, ნავსადგურს ჩამოდგება“ [V. 11143-11150; 11163-11166] (Goethe 2001: 191, 192). ამგვარად, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ამ მეკოშკურეს (Der Türmer) რადიო-რეპორტაჟი მიჰყავდეს პირდაპირ ეთერში.

მეფისტოფელი:

შუბლშეჭმუხნული პირქუში მზერით ან ისმენ შენი ბედნიერების („Glück“) ძახილს. მაღალი სიბრძნე დაგვირგვინდა – **ნაპირი და ზღვა დაზავდნენ** („Das Ufer ist mit dem Meer versöhnt“), თვინიერ ზღვაში პორტებიდან სწრაფად იღებენ გემები გეზს. შენი სასახლიდან ხელს მოავლებ მთელს სამყაროს და გასცემ ბრძანებებს. ყველაფერი კი აქედან დაიწყოს, სადაც ოდესღაც ფიცრული იდგა. ახლა კი აღარ ჩერდება ნიჩბების მოსმა და ნიჩბების ტყაპანი. შენმა ღრმა ჩანაფიქრმა და მაღალმა აზრმა, შენმა გარჯამ („Fleiß“) ჯილდოდ (ანუ: ნადავლად – კ. ბ.) მიიღო ეს ზღვა და მინა [V. 11219-11232] (Goethe 2001: 193).

შესაბამისად, პერსპექტივაში, ანუ ფაუსტის სიკვდილისწინა ხილვებში, „ხალხი“ ბუნებაზე დამოკიდებულებისაგან საბოლოოდ „თავისუფლდება“ და ის ბუნების სტიქიების შემოტყევისაგან „გათავისუფლებულ“ და დაცულ „მინაზე“ იცხოვრებს.

4. „ხალხის“ („Volk“) კონცეპტი

ამგვარად, ფაუსტის მიერ თავის ვიზიონერულ სიტყვებში ნახსენები „ხალხი“ („Volk“) გულისხმობს არა პოლიტიკურად თავისუფალ მოსახლეობას, არამედ „ხალხს“, როგორც ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინსტრუმენტს, მასობრივ გამწევ ძალას, რომელზე დაყრდნობითაც პოლიტიკური ბელადი (ფაუსტი) და მისი ვიწრო პოლიტიკური ელიტა (მეფისტოფელი და მისი სამი „მოხეული“ ჯანიანი ხელქვეითი) ახორცილებენ გიგანტურ ტექნოკრატულ და ეკონომიკურ პროექტებსა და გლობალურ კოლონიზაციას. შესაბამისად, კონცეპტი „ხალხი“ აღნიშნავს ადამი-ანთა ფუნქციურობასა და არა მათ მოქალაქეობრიობას.

როგორც ეს მეორე და მესამე თავებში მივუთითე, ფაუსტის კოლონიაში სწორედ ტოტალიტარიზმის ტიპის რეჟიმია დამყარებული და ამ რეჟიმს, გარდა ტოტალური პროპაგანდისა და რეპრესიებისა – „ფაუსტი: გაამხნევე, დაუყვავე და მკაცრად მოეპყარ, გადაუხადე, მიიყვავილე, გამოსძალე!“ („Ermuntere durch **Genuss und Strenge**, / **Bezähle, locke, presse bei!**“) [V.11553-11554] (Goethe 2001: 203), – ასევე განამტკიცებს მასობრივი შრომის ესთეტიზება, შრომის კულტი და გიგანტური მშენებლობები, რაც ქმნის ხალხზე ზრუნვის ილუზიას. სინამდვილეში კი, ამ მასშტაბურ მშენებლობებს პროპაგანდისტული ფუნქცია აქვთ და იდეოლოგიზებულ ნიშნებს შეიცავენ, ვინაიდან ეს მშენებლობები ხაზს უსვამენ რეჟიმის ძლევამოსილებას, აბსოლუტურობას, ერთადერთობასა და ქეშმარიტებას – „ფაუსტი: მუდმივი საფრთხით გარემოცულმა ბეჯითად, გამრჯედ განვლოს თვისი ცხოვრება ბავშვმა, მოხუცმა და ახალგაზრდამ. სწორედ ასეთ გნაისსა და ფუთფუთს მინდა ვხედავდე“ („Und so verbringt, umrungen von

Gefahr; / Hier Kindheit, Mann und Greis sein tüchtig Jahr. / Solch ein Gewimmel möcht ich sehn) [V. 11577-11579] (Goethe 2001: 203).

სწორედ ფაუსტის პროპაგანდისტული მანქანისა და კოლონიაში მიმდინარე გიგანტომანიური მშენებლობების ზემოქმედების ქვეშაა ფაუსტის კოლონიის მეზობლად მცირე კარ-მიდამოში მცხოვრები მოხუცი ფილემონი, რომელიც თავის სტუმარს აღფრთოვანებით მოუთხოვს ამ სამუშაოების – პორტებისა და წყალსაცავი ჯებირების მშენებლობების, ზღვის უკან დახვევისა და ზღვისთვის ასე მინის გამოტაცების შესახებ:

ფილემონი:

ჭკვიანი ბატონების (“kluger Herren”) (ე. ი. ფაუსტისა და მეფისტოს – კ. ბ.) მამაცმა ყმებმა (“kühne Knechte”) გათხარეს, გაიყვანეს არხები, ააგეს ჯებირები, ზღვას შეუზღუდეს უფლებანი და ასე გაბატონდნენ თავის ახალ ალაგს (ანუ, ზღვისთვის გამოტაცებულ მინაზე – კ. ბ.). იხილე, როგორ მიუყვება ერთმანეთს ამწვანებული მინდორი მინდორს, ანგარი ანგარს, ბალი ბალს, სოფელი სოფელს და ტყე კი ტყეებს. მოდი და დატკბი ამ ყველაფრით, თორემ მზე უკვე მალე ჩავა. შორს, ხედავ, მოსჩანან აფრები, აქეთ მოინევენ გემები, რომ ღამით თავი შეაფარონ უსაფრთხო პორტს (ცხადია, ფაუსტის კოლონიის პორტს – კ. ბ.). კარგად უწყიან ფრინველებმა, სად ეგულებათ თავისი ბუდე. და ასე ამ გემებმაც, მათაც იციან, სად ეგულებათ თავისი ბუდე, იქ, სადაც ახლა ახალი ნავსადგურია. შორს, სულ შორს მოსჩანს ზღვის ლურჯი ნაპირი, მარჯვნიდან, მარცხნიდან სრული სიგანით მასში შეჭრილა დასახლებული მინა-წყალი [V. 11091-11106] (Goethe 2001: 189-190).

მაგრამ სულ სხვა პოზიციაზეა ფილემონის ცოლი ბავკიდე, ვისაც ამ მშენებლობების, ზღვის სანაპიროს გადანევის, ეკოლოგიის რღვევისა და თავად ფაუსტის კოლონიის პოლიტიკური რეჟიმის ბოროტეული და დესპოტური არსი, კანტიანურად თუ ვიტყვით, ამ „რადიკალური ბოროტების“ (გერმ. “das Radikalböse”) არსი კარგად შეუცვნია და სულაც არ იზიარებს მისი ქმრის მიამიტურ აღფრთოვანებასა და ენთუზიაზმს:

ბავკიდე:

კეთილი! ეს სასწაული მოხდა! მაგრამ სიმშვიდე მაინც დაკარგული მაქვს, რადგან მთელი ეს ამბავი კეთილად არ წარიმართა და კეთილადაც არ დასრულდება. [...] მთელი დღის მანძილზე ქანცგანყვეტილი **ყმები (“die Knechte”)** ხმაურობდნენ, ყიჟინას სცემდნენ, ნიჩაბსა და წერაქვს სცემდნენ და სცემდნენ. იმ ადგილებში კი, სადაც ღამით **ცეცხლის ალები ციმციმებდნენ**, მეორე დღეს უცებ დამბები აღმართულიყვნენ („ცეცხლის ალების ციმციმით“ მინიშნებულია, რომ ზღვის სანაპირო დამბების მშენებლობისას ღამის ცვლაში ორთქლისძრავიან მინის სათხრელ მექანიზაციასაც იყენებდნენ, რომ ჯებირების საძირკვლები გაეთხარათ, Gaier 2004: 229. – კ. ბ.). ზღვას მიუყვებოდა ცეცხლის ღველფები (“Feuergluten”), მეორე დღეს კი არხი გაეყვანათ (აქაც, ეს „ცეცხლის ღველფები“ ისევ და

კონცეპტ „თავისუფალისა“ („frei“) და „თავისუფლების“ („Freiheit“) გაგება ფაუსტის უკანასკნელ, სიკვდილისწინა მონოლოგში და მისი ზღვისპირა კოლონია, როგორც „ტოტალიტარიზმის“ ერთგვარი გოეთესული ვიზიონი

ისევ მიანიშნებენ, რომ არხების მაშენებლები ღამის ცვლაში ორთქლის ძრავის მიწისმთხრელ მექანიზაციას იყენებდნენ – კ. ბ.). **დიდი იყო ადამიანთა მსხვერპლი და სისხლთა დენა** („Menschenopfer mussten bluten“), ღამით კი იდგა ხოლმე მოთქმა-გოდება („Des Jammers Qual“). **უღმერთოა** („gottlos“) იგი (ანუ, ფაუსტი – კ. ბ.), თვალი დაუდგამს ჩვენს ჭალასა და სახლზე. გაბღენძილია ეს ჩვენი მეზობელი (ფაუსტი – კ. ბ.) და ასე ჰგონია, ყველა **მას უნდა მორჩილებდეს** („soll man untertänig sein“) [V. 11111-11114; 11123-11134] (Goethe 2001: 190).¹

ამიტომაც, ფაუსტის კოლონიის მოსახლეობის ქცევა და ნიშან-თვისებები ისეთივეა, როგორც ეს მომვალში ექნებათ XX ს. ტოტალიტარული სახელმწიფოების „მოქალაქეებს“: ფაუსტის მიერ ვიზიონირებულ „თავისუფალ ხალხს“ მომავალშიც მხოლოდ ის ერთადერთი უფლება ექნება, რაც ანმყოფი აქვს ფაუსტის კოლონიის ზომბებადქცეულ მოსახლეობას – *მონური შრომის* „უფლება“, უფრო სწორედ, *იძულება*. ამიტომაცაა, რომ ფაუსტის კოლონიის მოსახლეობას, ანუ „ყმებს“ („Knechte“), „მასსას“ („Menge“), ახასიათებს და ევალება –

1. „გნიასი“ („Gewimmel“), „ხმაური“ („lärm“) (Goethe 2001: 190, 203), რაც მიანიშნებს ამ ყმადქცეული მოსახლეობის მუდმივად მშენებლობებზე ყოფნას;

2. „გამრჯედ“, „ბეჯითად“ („tüchtig“), „შეუპოვრად“ („emsig“) შრომა;

3. შეუსვენებლად შრომა – „ნაბრძანებია სწრაფად, უსწრაფესად ქმნა!“ [V. 11382] (Goethe 2001: 198);

4. „ბატონის“ („Herr“) (ფაუსტის) უპირობო მორჩილება – „მხოლოდ ბატონის სიტყვას აქვს ძალა. ჰა, დროზე, ადექით ყმებო, ქუდზე კაცი!“ [V. 11503-11504] (Goethe 2001: 201);

5. შესაბამისად, ფაუსტის კოლონიის მოსახლეობა *ინსტიტუციონალიზებული* კი არაა, ანუ, ის თავისი სამოქალაქო უფლებამოსილებებით სახელმწიფო სტრუქტურებში კი არაა ინტეგრირებული, მას სახელმწიფო ინსტიტუტები კი არ მფარველობენ, არამედ მოსახლეობა *კოლონიალიზებულია*, ანუ მას მართავს, უფრო სწორედ, მასზე ბატონობს და ძალადობს მმართველი პოლიტიკური ელიტის ვიწრო წრე – „კმა არს ერთის გონება და ათასის ხელი“ [V. 11510] (Goethe 2001: 201). შესაბამისად, ფაუსტის კოლონიის მოსახლეობა და აქ გაბატონებული პოლიტიკური რეჟიმი სრულიად *განსახელმწიფოებრივებულია*.

1 შდრ., პოლიტიკურ რევოლუციებსა თუ რევოლუციურ ახალ ტექნოლოგიებზე გერმანელ კულტურისა და ენის ფილოსოფოს, ი. გ. ჰერდერის (1844-1803) თქმული: „რევოლუციების მექანიზმები/რევოლუციური მექანიზაციები“ („Das Maschinenwerk der Revolutionen“) სულაც არ მიზნავს თავგზას და არ მაშფოთებს: ისინი ჩვენს მოდგმას ისე სჭირდება, ვითარცა წყლის ნაკადს თვისი ტალღები, რათა ის ჭაობად („Sumpf“) არ იქცეს. თავის ახალ ფორმებში გარდასახული, ახალგაზრდავდება და ჰყვავის ჰუმანიზმის გენია („der Genius der Humanität“) და ხალხებში, თაობებსა და შთამომავლებში შე-საფერისად განაგრძობს შემდგომ ქმედებათ“ (თარგმანი ჩემია – კ. ბ.) (Herder 1985-2002: 345).

ამგვარად, ფაუსტის კოლონიის მოსახლეობა, ეს ე. წ. „ხალხი“, ახალი ჟამის, ანუ მომავალი მოდერნის ეპოქის მომავალი უუფლებო პროლეტარიატია, ან საკონცენტრაციო ბანაკებსა და „გულაგ“-ებში გამომწყვდეული მილიონობით ადამიანია, რომლის ერთადერთი ფუნქციაა, იყოს გამწვევი ძალა ბუნების სრული დამორჩილებისა და კონტროლის საქმეში. სწორედ ამ საქმეში მოიპოვებს ის „თავისუფლებას“, ანუ ბუნებაზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებას, როდესაც კი ფაუსტის კოლონიის მოსახლეობა ბოლომდე მიიყვანს ზღვისპირა ჯებირების მშენებლობასა და ზღვისაგან გამოტაცებული მიწის დაჭაობებული ზედაპირის ბოლომდე ამოშრობას.

ამ მონურ შრომას, – რომლის პროპაგანდაც მომავალში წარიმართება ნაცისტურ გერმანიაში, ბოლშევიკურ საბჭოთა იმპერიასა თუ მარქსისტულ კომუნისტურ ჩინეთში (ანდა, სულაც, ახლა ბატონობს კომუნისტურ ჩრდილოეთ კორეაში), რომლის მიზანია ბუნების ტოტალური კონტროლი და მისი ენერჯიებისა და წიაღისეულის სრული მოხმარება, – გამოეძებნება ფორმულა „შრომა ათავისუფლებს“ (გერმ. „Arbeit macht frei“): ამგვარად, „შრომა“, როგორც მკაცრად და რაციონალურად დაგეგმილი და დისციპლინირებული ტექნოკრატიული პროცესი, როგორც რაციონალური ნება, უპირისპრდება ბუნების სტიქიურ, ირაციონალურ ნებას, იმორჩილებს და აკონტროლებს მას. ასე კი მოიპოვება ბუნებაზე დამოკიდებულებისაგან თავისუფლება და „თავისუფლება“ „ხალხი“.

5. „Grund“ vs. „Erde“, ანუ კონცეპტ „მიწის“ ნიუანსისათვის

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ფაუსტის სიკვდილისწინა ვიზიონებში ნახსენებ „მიწას“ – „გრუნდ“ („Grund“) – ცხადია, რომ მითოსაკრალური გაგება არ აქვს, არამედ ეს კონცეპტი აღნიშნავს „მიწას“, როგორც „მკვდარ“ მატერიას, გეოლოგიურ ფაქტს. შესაბამისად, სიტყვის „გრუნდ“ სემანტიკა გულისხმობს „ნიადაგს“, „გრუნტს“ და მიანიშნებს იმ „მიწაზე“, რომელიც მხოლოდ ტექნოკრატიული, საინჟინრო და ეკონომიკური ათვისების ობიექტია: ამგვარად, „გრუნდ“, ანუ კულტივირებული, ათვისებული „მიწა“, ნიადაგი, სავარგული; „გრუნდ“, ანუ წიაღისეულის, მადნეულის საბადო, ზღვისაგან გამოტაცებული ხმელეთი.

ამიტომაც არ ამბობს ფაუსტი სიტყვას „ერდე“ („Erde“), რომლის სემანტიკაც *მიწას*, უპირატესად, მოიაზრებს მითოს-საკრალურ ფენომენად, რომლის („ერდე“-ს) წიაღშიც ღვთაებრივ-კოსმიური ელემენტებით შემოსილი „სული“, ე. წ. „მიწის სული“ („Erdgeist“) მოქმედებს. ტრაგედიის პირველი ნაწილის „რომანტიკოსი“ და მეტა-ფიზიკოსი ფაუსტისაგან განსხვავებით, მეორე ნაწილის კოლონიზატორ და ტექნოკრატ ფაუსტისათვის ამ „მიწას“, ანუ „ერდე“-ს ღირებულება დაკარგული აქვს, ის მის ან უკვე პოზიტივისტურ და ტექნოკრატიულ ცნობიერებაში აღიქმება და განიხილება ნიადაგად, გრუნტად, წმინდად ტექნიკურ მონაცემად.

6. ფაუსტური სოციალუტოპიების კრახი

ფაუსტის ვიზიონებში გარდა ბუნების დამორჩილებისა და ბუნებაზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებისა, ასევე გადმოცემულია ერთგვარი პოლიტიკური „ესქატოლოგია“, პოლიტიკური „ხილიაზმი“, სადაც ნაწინასწარმეტყველებია ბუნდოვან მომავალში „კომუნისტური“ ტიპის მსოფლიო მარადიული სახელმწიფოს დაარსება:

ფაუსტი:

გაუფხსნი სივრცეებს მრავალ მილიონთ და დავუმკვიდრებ სანახებს შემოსილთ ნაყოფით, სიმწვანით. თუმც მათი ცხოვრება არ იქნება ბოლომდე უსაფრთხო, სამაგიეროდ იცხოვრებენ თავისუფლად და მუდმივი საქმით („doch tätig-frei zu wohnen“) (ე. ი. ფაუსტის დანაპირები ასეთია: „თავისუფალ“ ხალხს „თავისუფალ“ მინაზე ბუნების სტიქიების მუდმივი შემოტევების რისკის ქვეშ მოუწევს ცხოვრება, ბუნების ძალებთან მუდმივ ჭიდილში მოუწევს ცხოვრება და ამ მუდმივ ბრძოლაში ხალხმა თავისუფლება უნდა მოიპოვოს ბუნებისაგან, უნდა გათავისუფლდეს ბუნებაზე დამოკიდებულებისაგან – კ. ბ.). აქ იქნება ამწვანებული ველმინდვრები, მინა ნაყოფიერი; ადამიანი და მისი ნახირი, ჯოგი სიმყუდროვით დაემკვიდრება ამ ახალ მინაზე, გამრჯე, მამაცი ხალხები („Völkerschaft“) დასახლდებიან ამ ძლიერ, შეუვალ ბორცვთა ძირში. აქ, ამ შუაგულში გაშენდება სამოთხის ქვეყანა („Im Innern hier ein paradisisch Land“). [...] ამ აზრითა ვარ შეპყრობილი, ესაა სიბრძნე უკანასკნელი. მხოლოდ ის მოიპოვებს თავისუფლებასა და სიცოცხლეს, ვინც ყოველი დღე მათთვის იბრძოლებს („Nur der verdient sich Freiheit wie das Leben, / Der täglich sie erobern muss“). მუდმივი საფრთხით გარემოცულმა ბეჯითად, გამრჯედ განვლოს თვისი ცხოვრება ბავშვმა, მოხუცმა და ახალგაზრდამ. სწორედ ასეთ გნიასსა და ფუთფუთს მინდა ვხედავდე“ („Und so verbringt, umrungen von Gefahr, / Hier Kindheit, Mann und Greis sein tüchtig Jahr. / Solch ein Gewimmel möcht ich sehn“). და, დაე ვიდგე თავისუფალ ხალხთან თავისუფალ მინაზე („Auf freiem Grund mit freiem Volke stehen“) (ეს ყველაფერი კი, ისევ და ისევ, ნიშნავს იმას, რომ ეს ე. წ. თავისუფლება მოიპოვება სწორედ ბუნებასთან მუდმივ ბრძოლასა და ჭიდილში და, საბოლოოდ, მის დამორჩილებაში – კ. ბ.) [V. 11563-11569; 11573-11580] (Goethe 2001: 203).

მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ფაუსტის „სოციალისტური“ ყაიდის „ტოტალიტარულ“ სამფლობელოში წარმართული კოლექტიური, მასობრივი, მასშტაბური ტექნოკრატული სამუშაოები, რომელის მიზანიც იყო ზღვის დამორჩილება, საბოლოოდ კრახით დასრულდა, ვინაიდან ბოლოს ზღვის შემოტევისაგან სანაპიროზე აშენებული დამბებიც დაინგრევა, ზღვისთვის გამოტაცებულ მინას ისევ ზღვა შთანთქავს და მასთან ერთად კოლონიის მთელს მოსახლეობასაც – „მეფისტო: მამ

ნეპტუნს, ამ წყლისა ეშმას, განუმზადე დიდი ნადიმი. ყოველი მხრივ დამარცხებულხარ“ (*“Denn du bereitest schon Neptunen, / Dem Wasserteufel, großen Schmaus. In jeder Art seid ihr verloren”*) [V. 11546-11548] (Goethe 2001: 202). ეს კი იმთავითვე აუქმებს ფაუსტის ვიზიონებში განჭვრეტილ „კომუნისტური“ ტიპის „ესქატოლოგიას“, რომელიც „მრავალ მილიონთ“ „მინიერ სამოთხეს“ ჰპირდება. შესაბამისად, „თავისუფლება“ (*“Freiheit”*), ანუ ბუნებაზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება, რაზეც ფაუსტი თავის „ესქატოლოგიაში“ აპელირებს, ვერ აღსრულდება, რაზეც მიანიშნებს ის, რომ იგი ზღვას საბოლოოდ ვერ დაიმორჩილებს, ხოლო ზღვის ეს დაუმორჩილებლობა და მოდერნის ეპოქის ადამიანის ბუნებაზე დამოკიდებულებისაგან ბოლომდე ვერ გათავისუფლება მუდმივად ძალაში იქნება (ყოველ შემთხვევაში, ასეთია გოეთეს პროგნოზი):

ფაუსტი (სასახლიდან გამოსული ხელებს აცეცებს კარის ზღურბლთან): ზედამხედველო!

მეფისტოფელი: აქ ვარ!

ფაუსტი: მინდა ყოველდღე მივილო ცნობა, თუ როგორ მიმდინარეობს წამოწყებული გათხრები.

მეფისტოფელი (ხმადაბლა): როგორც მაუნყეს, არხებს არ თხრიან, არამედ საფლავს გითხრიან (*“Von keinem Graben doch vom Grab”*).

ფაუსტი: ჭაობი (*“Sumpf”*) მიიწევს მთიანეთისკენ, სრულ დაანყლულა ყველაფერი, **რაც მოვიპოვეთ.** ეს ჩამყაყებული ტბორებიც (*“Pfuhl”*) რომ ამოგვეშრო, ეს იქნებოდა უკანასკნელი უმაღლესი მონაპოვარი” (არა და, დაირღვა ეკობალანსი!!! – კ. ბ.) (*“Ein Sumpf zieht am Gebirge hin, / Verpestet alles schon Errungene; / Den faulen Pfuhl auch abzuziehn / Das Letzte wär das Höchsterrungene”*) [V. 11550-11562] (Goethe 2001: 203).

ამგვარად, ფაუსტი, როგორც მოდერნის ეპოქის ტექნოკრატიული და კოლონიზატორული სულის განსახიერება, თავის სიკვდილისწინა ვიზიონებში კაცობრიობას, საბოლოოდ, არა საყოველთაო სიცოცხლესა და ბედნიერებას, არამედ ტოტალურ უბედურებასა და სიკვდილს ჰპირდება, ვინაიდან ბუნებასთან ბრძოლა, მისი დამორჩილების ნადილი, მასზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების ავადმყოფური ჟინი და ეკოლოგიის მასშტაბური რღვევა გოეთესთვის ტოტალური განადგურების პირდაპირპროპორციულია. ეს ნეკროიდული პერსპექტივა კი, გოეთეს მიხედვით, მომავალი მოდერნის ეპოქის კონდიციაა, ვინაიდან ამ ეპოქისთვის, პირველ რიგში, დამახასიათებელია სწორედ ბუნების საბოლოო დამორჩილების გაუნელებელი წყურვილი, მისი ძალების კონტროლი, მისი წიაღისეულის მასშტაბური, უკონტროლო და ირაციონალური მოხმარება, დამახასიათებელია ბუნებისადმი მხოლოდ უტილიტარული, კომერციული და კონზუმერული დამოკიდებულება.

7. გოეთე vs. ჰეგელი

ამგვარად, ფაუსტის სოციალუტოპიების ირონიზებით, მისი ტექნოკრატიზმის კრახითა და მისი აღსასრულით გოეთემ გააცხადა, რომ საკაცობრიო ისტორიულ პროცესს არც ტელეოლოგია გააჩნია და ამ პროცესის მიღმა არც არანაირი გონი (Geist) და „ღვთაებრივი ჩანაფიქრი“ არ მოქმედებს, არამედ ისტორია ეს არის მარადიული ვლენა ნების ნების წინააღმდეგ, ანუ ძალისა ძალის წინააღმდეგ. ამ ერთგვარი „ანტი-ჰეგელიანობით“ გოეთე თავისივე პერსონაჟის, მეფისტოფელის პოზიციაზე დგას და იზიარებს ისტორიის მეფისტოსეულ გაგებას: „მსოფლიო ისტორია („Weltgeschichte“) მალლადმხედი მოაზროვნისათვის სხვა არაფერია თუ არ უაზრობათა წყება (**„ein Gewebe von Unsinn“**), აქედან ძნელად თუ შეიძლება სულისთვის რაიმე სარგოს სწავლა. [...] იგი (მსოფლიო ისტორია – კ. ბ.) უზომოდ შეიცავს მხოლოდ სიბრყველასა და უგვანობას (**„eine Masse von Torheiten und Schlechtigkeiten“**). [...] არც ისე ახალგაზრდა ვარ, რომ მსოფლიო ისტორიის გამო ზედმეტად ავიტკიო თავი, რომელიც ყველაზე აბსურდული რამ არის, რაც კი რამ ამქვეყნად არსებობს“ (თარგმანი ჩემია – კ. ბ.) (გოეთეს წერილებიდან კანცლერ, იგივე, ვაიმარის საჰერცოგოს იუსტიციის მინისტრ ფრიდრიხ ფონ მიულერისადმი: 11.X.1824, 17.XII.1828, 6.III.1828; ამონარიდები მოყვანილია ი. შმიდტის ნაშრომიდან – Schmidt 2011: 157).

დასკვნა:

ამგვარად, „თავისუფლება“ („Freiheit“), რასაც ფაუსტი მომავალ კაცობრიობას ჰპირდება და მისივე კონცეპტი „თავისუფალი“ („frei“) გულისხმობს:

1. ბუნებაზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებას ბუნების დამორჩილების, ბუნების ძალების სრული კონტროლის საფუძველზე;

2. თავისუფლება, თავისუფალი, როგორც ტექნიკურ-საინჟინრო მახასიათებელი და არა როგორც პოლიტიკური და აქსიოლოგიურ-ეთიკური მდგომარეობა: კერძოდ, თავისუფლება, როგორც სივრცის გამო-თავისუფლება კოლონიზატორულ-ტექნოკრატიული სამუშაოებისათვის (შდრ.: „გაუფხსნი სივრცეებს მრავალ მილიონთ“; „მინა გამყარდა, ზღვის ტალღებს დაუდო ზღვარი, ზღვას შემოეველო ძლიერი გარსი“).

3. თავისუფლება, თავისუფალი, როგორც ძალაზე, ძალადობაზე, ძალმომრეობაზე დამყარებული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და მილიტარისტული აღვირაზსნილობა (ფაუსტი და მეფისტოფელი, ვითარცა მისი „იკონები“ და „ადეპტები“) – „მეფისტოფელი: ვრცელი ზღვა სულს („Geist“: აქ მოდერნის ეპოქის მოძალადე სული – კ. ბ.)

ათავისუფლებს და ამიტომაც არცა გვეჭირდება ხანგრძლივი ფიქრი, მსწრაფლ, უსწრაფესად საქმეს ვაკეთებთ. [...] ვისაც ძალა აქვს, უფლებაცა და სამართალიც მისი ხვედრია (“*Man hat **Gewalt**, so hat man Recht*”) [V. 11177-11179; 11184] (Goethe 2001: 192).

დამონშებანი:

- Bregadze, K'onst'ant'ine. “Hana Arendt'is T'ot'alit'arizmis Teoria (dziritadi aspekt'ebi)”. *St'alinis Ideologema da Mitologema Kartul Sabch'ota da Emigrant'ul Lit'erat'urashi*, t. 1, redakt'orebi K. Bregadze, G. Lomidze, Tbilisi: gamomtsemloba „mts'ignobari“, 2019. (ბრეგაძე, კონსტანტინე. „ჰანა არენდტის ტოტალიტარიზმის თეორია (ძირითადი ასპექტები)“. სტალინის იდეოლოგემა და მიტოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში, ტ. 1, რედ. კ. ბრეგაძე, გ. ლომიძე, თბილისი: გამომცემლობა “მნიგნობარი”, 2019).
- Hannah Arendt, *Elemente und Ursprünge totaler Herrschaft*, 2. Aufl., München/Zürich: Piper, 1991.
- Johann Wolfgang Goethe, *Faust. Der Tragödie Zweiter Teil*, Stuttgart: Reclam, 2001.
- Johann Gottfried Herder, *Ideen zur Philosophie der Geschichte der Menschheit*; in: *J. G. Herder, Werke in zehn Bänden*, hrsg. von Günter Arnold [u. a.], Frankfurt am Main: Deutscher Klassiker Verlag, 1985-2002.
- Jochen Schmidt, *Goethes “Faust”. Erster und Zweiter Teil. Grundlagen –Werk – Wirkung*, München: Beck, 2011.
- Ulrich Gaier, *Erläuterungen und Dokumente: J. W. Goethe, Der Tragödie zweiter Teil*, Stuttgart: Reclam, 2004.

Konstantine Bregadze
(Georgia)

**The Understanding of the Concepts of “Free” and “Freedom”
According to Faust’s Final Monologue Before Death and his Seashore
Colony as Goethe’s Vision of “Totalitarianism”**

Summary

Keywords: oethe, “Faust”, Free, Freedom, Totalitarianism.

The concept of free (“frei”) appears in the Second Part of the Tragedy in Act Five, namely in Faust’s final monologue before death, in line 11580:

Faust:

Free earth: where a **free** race, in **freedom**, stand¹

(“Auf **freiem** Grund mit **freiem** Volke stehen”) [V. 11580] (Goethe 2001: 203).

In this line apart from the concept of **free**, what strikes our attention is:

1. People/race (“Volk”),
2. earth/ground (“Grund”) (This word in German also means ground, earth, base).

Whereas the content of the notion of “freedom” and, consequently, “freedom”, which Faust himself conceives of in these notions, must be determined in the context of and in comparison with the other concepts given in this verse.

At the same time, it is clear that if we want to understand exactly what Faust means by the concept of “free”, then “freedom”, which Faust promises to the people of his colony or abstract humanity in the vague and uncertain future, if we want to understand exactly what he means by it, at a first glance, whether it is a kind of political message or a political will (or, in general, the question is whether the concept of “free” has a political content here), we must define what Faust himself is the voice of this message at the moment. At the same time, it must be clarified, on the one hand, who the “people” are whom Faust promises “standing on free land”, and on the other hand, it must be clarified what kind of “people” his visionary “free people” are.

To accurately define the content of these concepts (“free”, “freedom”, “people”, “land”), the following words of Faust are noteworthy, in which he addresses people working on ports and dams on the seashore:

Faust: I will gain power and property! It’s all business, glory – none!
(“**Herrschaft gewinn’** ich, **Eigentum!** / Die Tat ist alles, nichts der Ruhm”). [...] It is ordered to fulfill it rapidly, at all speed! (“**Geboten** schnell, zu schnell getan!”) [...] The master’s word alone declares what’s right. Up from your beds, you slaves! Man on man! (“Des **Herren** Wort es gibt allein Gewicht. / Vom Lager auf **ihr Knechte!**

¹ Translation by A. S. Kline; 2003. <https://antilogicalism.com/wp-content/uploads/2017/07/faust.pdf>

Mann für Mann!"). Reveal the daring of my favoured plan. Seize the tools: on with pick and spade! 11505 Let the end-result be now displayed. Strict order, and swift industry/ then the finest prize we'll see: And so the greatest work may stand, one mind equal to a thousand hands. (**"Genügt Ein Geist für tausend Hände"**). [...] How the clattering of shovels cheers me! It's the crews still laboring on ("Es ist die **Menge**, die **mir frönet**") [V.10197-10198; 11382; 111501– 11510; 11539-11540] (Goethe 2001: 163, 201, 202).

Thus, in Faust's dominion, in its seashore colony, there is an obvious tyrannical, authoritarian, dictatorial rule ("Herrschaft") and a rule similar to that of a totalitarian regime, because the political disposition is of a radically hierarchical structure, where *Political* is abolished ("das Politische") (H. Arendt): On the one hand, Faust, who is "lord", "sovereign" ("Herr") and lone ruler, the sole political leader, almost the Führer, who is silently obeyed and worshiped by his direct subordinates (like, Mephistopheles), as well as the population of the colony ("I will gain power and prosperity"); On the other hand, his "slaves" («Knechte»), that is, the politically, economically and socially disenfranchised population of the Faust colony, in Faust's "terminology" "the mass" ("Menge") – "it is the mass that worships, obeys, glorifies"; Furthermore: On the one hand, Faust, who, as the unchanging central figure of the elite ruling class, plans various political, economic, military, or technocratic projects ("One Mind"), who single-handedly issues state orders (compare "take into Hand Shovels and Bars", "Only the word of the lord has power", "In time, stand up slaves!"), and he is **Legibus solutus** – one who is beyond the law, above the law, and the law does not apply to him, and on the other hand, the lumpen-proletariat, which has become a slave to the construction of seaports, canals, and ports, has become obedient and speechless ("it is commanded to do it quickly, so do it quickly").

Consequently, the "people" ("Volk") mentioned by Faust in his visionary words refer not to a politically free population but the "people" as an economic and political instrument, a mass pulling force based on which the political leader (Faust) and his narrow political elite (Mephistopheles and his three high and strong subordinates) carry out monumental technocratic and economic projects and global colonization. Consequently, the concept of "people" refers to the *functionality* of people and not to their *citizenship*.

In Faust's seaside colony *totalitarianism* is the type of regime and apart from using total propaganda and repressions – *Faust: Spurred by force or hope of pleasure, By pay, enticement or press-gang! ("Und so verbringt, umrungen von Gefahr, / Hier Kindheit, Mann und Greis sein tüchtig Jahr. / Solch ein Gewimmel möcht ich sehn")* [V. 11577-11579] (Goethe 2001: 203) – *mass work, working culture*, and gigantic constructions are being aesthetically acceptable, which creates the illusion of *care* for people. In reality, these enormous establishments have a propagandist function and have characteristics of ideology, because they highlight superiority, absolutism, oneness, and truthfulness – *Faust: Childhood, manhood, age's vigorous years, Surrounded by dangers, they'll spend here. I wish to gaze again on such a land ("Und*

კონცეპტ „თავისუფალისა“ („frei“) და „თავისუფლების“ („Freiheit“) გაგება ფაუსტის უკანასკნელ, სიკვდილისწინა მონოლოგში და მისი ზღვისპირა კოლონია, როგორც „ტოტალიტარიზმის“ ერთგვარი გოეთესული ვიზიონი

*so verbringt, umrungen von Gefahr, / Hier Kindheit, Mann und Greis sein tüchtig Jahr. / Solch ein **Gewimmel** möcht ich sehn*) [V. 11577-11579] (Goethe 2001: 203).

Thus the population of the Faust colony, its so-called “people” are the disenfranchised proletariat of the new age, the future of modernity, or the millions of people locked up in concentration camps and “gulags” whose sole function is to be a driving force in the complete subjugation and control of nature. It is in this work that he gains “freedom” that is, liberation from dependence on nature when the population of the Faust colony completes the construction of coastal dams and the complete drying up of the swampy surface of the land seized from the sea.

Given the above, the “land” mentioned in Faust’s pre-death visions – “ground” (“Grund”) – obviously has no mythical or sacral meaning, but this concept refers to “land” as a “dead” matter, a geological fact. Accordingly, the semantics of the word “ground” refers to “soil” or “ground” and refers to the “land” that is only the object of technocratic, engineering, and economic development: thus, “ground”, i.e. cultivated, developed “land”, soil, arable land; “Grund”, i.e. a mineral deposit, a land abducted from the sea. That is why Faust does not say the word “Erde” the semantics of which considers the earth to be predominantly a mythical and sacral phenomenon, in the interior of which (“Erde”) the “soul” clothed with divine-cosmic elements, the so-called “spirit of the land” (“Erdgeist”) operates. Unlike the “romantic” and meta-physicist Faust of the first part of the tragedy, for the colonizer and technocrat Faust of the second part, this “land” or “Erde” has lost its value and is seen as a mere technical data.

Thus, because of the despotism and tyranny established in this coastal colony, Faust does not envision the contours of a free and legal state, and the concepts of “free land” and “free people” uttered in his promises cannot be linked to political freedom, because he has already made the present political conditions for decades “totalitarian” and the political agenda of his colony is forever defined. This is a precondition for the future to be similarly “totalitarian”.

Therefore, “freedom” (“Freiheit”) promised by Faust to future mankind and his concept of “Free” (“frei”) means:

1. Liberation from dependence on nature through obedience to nature, full control of the forces of nature;

2. Freedom, free, as a technical-engineering characteristic and not as a political and axiological-ethical situation: in particular, freedom as a release of space for colonization-technocratic works (compare “I will open spaces for many millions”; the ground is solid, it borders and encircles the sea with a strong membrane”).

3. Freedom, free as a political, social, economic, and militaristic restraint based on force, brutality, and violence (Faust and Mephistopheles as its “icons” and “adepts”) – *Mephistopheles: (Geist: the brutal spirit of the modern epoch – K.B.)* The ocean’s freedom frees the mind/ there all thought is left behind! / You only need a handy grip [...] You have the might, and so the right (“*Man hat **Gewalt**, so hat man Recht*”) [V. 11177-11179; 11184] (Goethe 2001: 192).